კახა ფერეიდნელი
(ამად მულიანი)
kaxademetra@gmail.com

ფერეიდანი - გზა სამშობლოდან სამშობლოში

ახალჩამოსული ვიყავი ირანიდან - არც საქართველო ვიცოდი, ჩემი სიზმრების გარდა, არც ხალხს ვიცნობდი, არც მეგობრები მყავდა... ჩამოვედი - სამშობლოში მოვდიოდი და ინტუიცია მკარნახობდა, რომ სამშობლოს მიწაზე ფეხდადგმულს ის მიწა ძალას მომცემდა. ამას მკარნახობდნენ ჩემი გარდასული წინაპრების სულები, რომლებიც სამშობლოს ნახვის ნატვრით წავიდნენ ამ ქვეყნიდან. და მე, მათი მეთექვსმეტე თაობა, უფალმა ღირსად მცნო, სამშობლო მეხილა, მოვფერებოდი 400 წლის განშორების შემდეგ და ჩავხუტებოდი ჩემს მიწა-წყალს, რომელსაც მშობლის სურნელი ასდიოდა...

დიდი ხანი არ გასულა ჩემი ჩამოსვლიდან. აზია-აფრიკის უნივერსიტეტმა, რომ იტყვიან, სულზე მომისწრო. სწავლის გაგრძელება მსურდა და ამაში ისევ ჩემი სამშობლო დამეხმარა დედა მარიამის და აზია-აფრიკის ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის, ბატონ გურამ ჩიქოვანის სახით. ბატონმა გურამმა, როცა გაიგო, რომ ფერეიდნელი ვარ, აღარც არაფერი უკითხავს - პირდაპირ სტუდენტის მერხზე დამსვა - საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე - დიპლომატიის განხრით. ვერასოდეს დავივიწყებ ბატონ გურამ ჩიქოვანის ამაგს, ის თითქმის ყოველდღიურად მნახულობდა ლექციებზე და ჯიბეგაფხეკილ სტუდენტს ყოველთვიური სტიპენდიაც კი დამინიშნა.

არ შემიძლია მადლიერებით არ ვახსენო მისი მეუღლე, ქალბატონი მარინა თხინვალელი, იმავე უნივერსიტეტის პროფესორი, ის არა მხოლოდ ლექციებზე, ლექციების შემდეგაც ცდილობდა ჩემს სწავლა-განათლებას, და არა მარტო არაბულში, არამედ თანამედროვე ქართულშიც. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულით მაინც და მაინც გამართულად ვერ ვსაუბრობდი, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა საჭიროდ თვლიდა, მონაწილეობა მიმეღო სამეცნიერო კონფერენციებში, შიდასაინსტიტუტო ღონისძიებებში... ეს ყველაფერი ზრდიდა და აყალიბებდა ჩემში საქართველოს მოქალაქეს - ირანულისგან ბევრად განსხვავებულსა და ჰუმანურს.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა რომ, ინსტიტუტში თავმოყრილი იყო საქართველოს ელიტა - განათლებულ ადამიანებს ვგულისხმობ. კანცელარიიდან დაწყებული, ყველა თითქოს საგანგებოდ იყო შერჩეული. აქ გვასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები, რომლებიც საქართველოს ღირსეულ მომავალს უზრდიდნენ: გრიგოლ ბერაძე (ირანისტი), გიორგი სანიკიძე, გიორგი კაციტაძე, მურმან ქუთელია, ჯემშიდ გიუნაშვილი, ზაზა აბაშიძე, თინათინ ქაროსანიძე, ლევან მატარაძე, ლევან ახვლედიანი, ნოდარ ხონელიძე, მარინა ივანიშვილი, თამაზ რევია (მაპატიოს, თუ ვინმე გამომრჩა)... ამ ადამიანებმა ინსტიტუტი ნამდვილ ოჯახად მიქციეს. ინსტიტუტის კარს შევაღებდი თუ არა, დაცვის ბიჭები მაღლა არ მიშვებდნენ - ჯერ მოდი, ჩვენთან ისაუზმე და მერე ადი ლექციებზეო... ამ ამაგს, ამ სიტუაციას, ვერასოდეს დავივიწყებ. მათ, ამ ადამიანებმა, კიდევ მეტად ჩააშენეს და ჩაკირეს ჩემში სიყვარული ჩემი ისტორიული სამშობლოსი და, რაც მთავარია, ნდობა ადამიანებისა! - მათი მადლი მომყვება დღესაც და გამყვება მთელი სიცოცხლე. მე არა მხოლოდ განათლებულ ადამიანად მაქციეს, არამედ აქაური ცხოვრების ანბანსაც მაზიარეს და დღეს თუკი რამეს წარმოვადგენ, სწორედ ბატონ გურამ ჩიქოვანის და მისი შესანიშნავი კოლექტივის დამსახურებაა. ასეთი სასწავლებლები, აღარც ვიცი, თუ არსებობს დღევანდელ სინამდვილეში. ისეთი - რომლებიც შენში ადამიანს ზრდიდნენ, ადამიანურ ღირებულებებს გაზიარებენ...

და ასე, მათ მადლს და ადამიანობას ნაზიარები, მოვდივარ, მომაქვს ჩემი წილი უღელი ცხოვრებისა... ახლა უკვე ვიხსენებ გარდასულ წლებს, როცა ჩვენი „ქართველობის“ გარიჟრაჟზე მე და ჩემი სამეგობრო ფერეიდანში ქართულ ღონისძიებებს ვაწყობდით და ვცდილობდით, ქართველთა შეგნებაში გაგვეფანტა ირანული ბურუსი და ქართული „საჭრეტი“ დაგვენახებინა. ამას როგორღაც ვახერხებდით, თუმცა არა დაუბრკოლებლად - ბევრი წინააღმდეგობასაც გადაგვილახავს ჩვენი ახალგაზრდული მოწადინებით.

მერე წამოვედით სამშობლოში. ბევრი დარჩა და დღესაც აქ არის, მაგრამ ბევრი უკან გაბრუნდა - ძალიან ბევრს არც უცდია, ჩემსავით გაეკაფა სამშობლოსკენ სავალი არც-თუ იოლი გზა. ზოგმა სწავლას აუცრუა გული, ზოგი ქართულ მენტალიტეტს ვერ მოერგო...

მაგრამ მთავარი მაინც გაკეთდა - ფერეიდნელი ახალგაზრდობის დიდ ნაწილში, ჩვენს მაგალითზე, გაიღვიძა სამშობლოსკენ ლტოლვამ, აქ დამკვიდრების სურვილმა. ამითაა, რომ ამდენი ფერეიდნელი, ძირითადად ახალგაზრდები, უკვე ცხოვრობს თბილისსა თუ საქართველოს სხვა რეგიონში. ყველა მათგანი ცდილობს, მყარად მოიკიდოს ფეხი სამშობლოს მიწაზე, აკეთოს მისთვის სასარგებლო საქმე და ქვეყნის „საჭრეტით იჭრიტოს“...

მადლიერი ვარ უფლის, რომ მე და ჩემი თაობა გვაქცია სამშობლოსკენ ლტოლვის პირველმკვალავებად 400 წლის შემდეგ, რომ ჩვენ, რამდენადმე, ვიქეცით ამ დიდი ისტორიული ძვრების მთავარი მოქმედნი და მონაწილენი დაკარგული და მივიწყებული ფერეიდნულ-ქართული ურთიერთობების გამკვალავნი და ირანში მცხოვრებ ქართველთა სამშობლოსკენ „ჭრეტის“ დამწყებნი. ამ ყველაფერს ბევრი ცხოვრებისეული სიძნელე ახლავს, მაგრამ თუკი ჩვენ გავითავისებთ გალაკტიონისეულ „სამშობლოს გრძნობას გასაკვირველს“ და ეს აუცილებლად უნდა გავითავისოთ ყველამ - როგორც ჩვენი ძველი ქართველები საქართველოსთან ერთად ჩაისუნთქავდნენ და ამოისუნთქავდნენ - ისეთი რიტმით უნდა ავყვეთ ქართულ ცხოვრებას, მოწიწება და მოფრთხილება უნდა შეგვეძლოს მისი ეროვნული სიწმინდეების - მაშინ „ჩაგვრიცხავს“ უფალი „ქართულ დასში“...

მინდა შევნიშნო ერთი ფრიად არასასურველი ტენდენცია - ფერეიდნული, როგორც უძველესი ქართული კილო-კავის ნიმუში, ფერეიდანში უკვე ნელ-ნელა იკარგება და მას ირანული ანაცვლებს - ამას შველა უნდა, არ შეიძლება, არ უნდა დავუშვათ ამ ჩვენი უძველესი საგანძურის გაქრობა - ეს მგონია დიდი ეროვნული პრობლემა და ამას შესაბამისი მიდგომა ეჭირვება. ულამაზესი სოფლების დასახელებები გვაქვს ფერეიდანში - რუისპირი, ნინოწმინდა, ვაშლოვანი, ზემო და ქვემო მარტყოფი, ჩუღრუთი, თორელი... გვარები - ხუციშვილი, მოლაშვილი, გუგუნაშვილი, გოგიჩაშვილი, დავითაშვილი, ონიკაშვილი, სეფიაშვილი, დარჩიაშვილი, ლაჩინაშვილი... უმდიდრესი ქართული ტოპონიმებია ფერეიდანში, დღემდე ქართულად მჟღერნი, გულსა და სულს მალამოდ რომ ედება - საცურველა, პირიქითი, პაპას ქოხი, ვარდის ყელი, მელას გორა, ამოღლობა (ამაღლება), გუგუნაანთ მაზრა, თათაშვილის გორა, თათარა, ყუდრო, ჩაქრიალა, ციხე-მთა, სიღანა, დიდრუვი, დიდწერი, ლამაზის გორა, ქუვაყრილი, ჩაჩას ქედი, ნაქცევი, ნაქერალა, კაკბის წყარო, ქალების ქობი, თამზიას გორა (ეს უკანასკნელი წმინდა გიორგის უკავშირდება), ხუციანთ წყარო, გორთუკანი, ქოთაანი, სათოვლე, ჩუღრუთის ყელი, სასკლინტო, ნასერალი, ხირხატი, პაპას ბაღი, ცივწყარო, სიღნაღი, ბუდაყი, დევლათი ღელე... არ მინდა, ამ ულამაზეს ტოპონიმებს დავიწყების ნისლი წაეფაროს და უცხო სახელწოდებებმა ჩაანაცვლოს. მათი უმეტესობა ჩემს ბალღობაში თამაშ-თამაშით მაქვს შემორბენილი და ძალიან მემშობლიურება, სწორედ ეს ტოპონიმები აღვივებდნენ ჩვენში შორს დარჩენილი სამშობლოს სიყვარულს და დღესაც იგივე ფუნქცია აქვთ ფერეიდნელ ახალ თაობაზი. მათი გაქრობა-დავიწყება ირანში ქართულ სულსაც გააქრობს.

და ბოლოს, ფერეიდნული კილოს ნიმუშად შემოგთავაზებთ ფერეიდნელი ჰოსეინ ყალანის მიერ ჩაწერილ ერთ იგავს - გლეხი და ხარი.

იყო ერთი გლეხი. ჰყავდა ოვრი (ორი) ხარი. წავიდა სახნავზე, მივიდა თავის მიწაში და დაიწყო ხარების შაბმა უღელში. უღელი დადუვა ხარებს კისერზე. მერე გუთანი უღელში გაუგდო თაფთხე. სათაფთხეში ჩაოგდო და უნდოდა ხნას დაუჭებ ხარებს. ხარები შადგეს ხვნაზე. ერთი ოვრი კოლი აიდა, ჩამოიდა, მერე ერთი ხარი ჩაოწვა. გლეხმა დაიდივ აყენოს. ხარი არ ადგა. გლეხი დაიღალა, რო ვერ აყენა, გლეხიც წავიდა და იმ ხარის გვერდით მოწვა და ხარს უთხრა: - შენ დაწევ და მეც დავწევ, მერე შემოდგომაზე ვნახავთ, მევალე ვალში მე წამიყვანს თუ შენაო...

ჩემი ფერეიდნელი მეგობრის - აბდულყასემ აჰმადის წერილიდან:

„ორ-სამ დღე წინა ერთი სომხური სოფსაყე ერთი ჩემი მეგობარმა ეს ქოთანი მამცა (სურათზე იყო ორყურა მაღალი ქოთანი, ქართული სადღობელივით) და გუშინღამ შინა გავრეცხე. ღამით სიზმარი ვნახე - ეს ქოთანი მოვნახე სავსე განχი (განძით)! ძრიალ გამიხარდა ელეგრე რო უჭრეტავდი. ვთქი - აბა, ვნახო, შიგ რა არი. ხელი ჩავყავ, მოჩხრიკე, ხელი ამაიღე, ვნახე მუჭჩი ჩანს თეთრი რიკრიკა და ბარბაჩობს ოცი თეთრი საქართველოს ფული... და დღესაცა ვფიქრავდი ემ სიზმარზე - კაცი დღისიც χგარχგურობს, ღამით დაწვების, თავს დაიდებს დედამიწაზე და მერე წრწიალობს ფიქრჩი, დადის სადაც უნდოდეს, მერე გაგეღვიძების, ნახამ, სიზმარი ყოფილა“...

აბდულყასემ აჰმადი სოფელ თორელის მკვიდრია, ფიქრით, ოცნებით - საქართველოშია, საქართველოსთვის სუნთქავს! რამდენχერმე იყო კიდეც და მოინახულა სამშობლო. პატარა გამოფენა აქვს სახლში - ძველებური ქოთნები, თიხის χამები, χარა, ცხრილი, ქაფქირები, ფარდაგები, საჩეჩელი... ჩემთინ ბაიტა (პატარა) საქართველო მოვიწყეო - ძველებური, მაგრამ მშობლიური.

- მადლობა დიდი აკაკი შანიძის და გიორგი ახვლედიანის სულებს, რომლებმაც ფერეიდნული კილო ქართულ კილო-კავთა რიცხვში შეიყვანეს და ამით საუკუნეებში ჩაკარგული ფერეიდანი საქართველოს მიაბეს...

და დღევანდელ ფერეიდანში სამშობლოს ვერდატეული სიყვარული გადმოფრქვეულია სახლების ფასადებზე, მაღაზიების აბრებზე, მანქანებზე, ხალიჩებზე, სუფრებზე, ბალიშის პირებზე გაკეთებულ ქართულ წარწერებში - საითაც გაიხედავ, ყველგან ქართული წარწერებია. რა აარის ეს ფენომენი? - ჩემი პასუხი ასეთია - სამშობლოს 400-წლიანი მონატრება!..XVI საუკუნის შუა წლებიდან, როცა ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მაგისტრალმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ამ სამი ძლიერი სახელმწიფოს მეტოქეობა კიდევ უფრო გამწვავდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზურაბ შარაშენიძე - „ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“;
საიდ მულიანი - „ქართველების როლი ირანის კულტურასა, ისტორიასა და ცივილიზაციაში“.
ნოდარ ნაჭყებია - „ირანი“